

საინფორმაციო ბიულეტენი: ნებაყოფლობითი შეთანხმებები საქართველოს სამრეწველო სექტორთან

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი ითვალისწინებს საბაზისო ინფორმაციას სამრეწველო სექტორთან ნებაყოფლობითი შეთანხმებების შესახებ და წარმოადგენს შეთავაზებებს მათ იმპლემენტაციასთან დაკავშირებით საქართველოში:

1. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში
2. ნებაყოფლობითი შეთანხმებები - ქვაკუთხედები
3. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემა საქართველოს სამრეწველო სექტორთან
4. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემის მაგალითი: ავსტრიული პროექტი „klimaaktiv“

სექტემბერი, 2019 | UNIDO-ს პროექტის “სათბურის გაზების ემისიების შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზით” ფარგლებში

1. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში

ნებაყოფლობითი შეთანხმებები გათვალისწინებულია საქართველოს უახლეს სამართლებრივ ჩარჩოში ენერგოეფექტურობის შესახებ:

- საქართველოს ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) უახლეს პროექტში ჰორიზონტალური ღონისძიების სახით გათვალისწინებულია ნებაყოფლობითი შეთანხმებები.
- „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის უახლეს პროექტში ნებაყოფლობითი შეთანხმებები მითითებულია 23-ე მუხლში, სადაც ნათქვამია:

“მუხლი 23. დამატებითი პოლიტიკა სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობის წასახალისებლად 1. სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიღწევის მიზნით, ენერგეტიკაზე პასუხისმგებელი სამინისტროს სახით წარმოდგენილმა მთავრობამ უნდა მისცეს საწარმოებს ან მათ გაერთიანებებს ნებაყოფლობითი შეთანხმებების გაფორმების შესაძლებლობა სახელმწიფოსთან, რომელსაც წარმოადგენს ენერგეტიკაზე პასუხისმგებელი სამინისტრო, ენერგოეფექტური მომსახურებების პოპულარიზაციის ჩათვლით.

2. ენერგეტიკაზე პასუხისმგებელი სამინისტრო შეაფასებს, არის თუ არა სამრეწველო სექტორის მიერ ნებაყოფლობითი შეთანხმების ნაწილის სახით შემოთავაზებული ენერჯის დაზოგვის სამიზნეები საკმარისად გამოძწვევი. საჭიროების შემთხვევაში, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიღწევის არარსებობის გამო, ენერგეტიკაზე პასუხისმგებელ მინისტრს შეუძლია განსაზღვროს სავალდებულო სამიზნეები ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნებისათვის.

3.”

2. ნებაყოფლობითი შეთანხმებები - ქვაკუთხედები

ნებაყოფლობითი შეთანხმებების ძირითადი აზრი მდგომარეობს სამრეწველო კომპანიების სამოტივაციო პროგრამების განხორციელებაში მათი იმაზე უკეთეს საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით. აღნიშნულის სანაცვლოდ, მონაწილე კომპანიები მიიღებენ გარკვეულ სარგებელსა თუ უპირატესობას.

ა) ნებაყოფლობითი შეთანხმებების მოქმედების არეალი

საერთაშორისო მასშტაბით არსებული ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია სამრეწველო სექტორზე (ინდივიდუალური საწარმოები ან ფილიალები), თუმცა ნებაყოფლობითი შეთანხმებები შესაძლებელია გავრცელდეს მრეწველობის გარდა სხვა სექტორებზეც. ნებაყოფლობითი შეთანხმებების ფარგლებში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას როგორც დიდი, აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოები (SME).

ბ) ნებაყოფლობითი შეთანხმებები წარმოადგენს საჯარო-კერძო პარტნიორობას (PPP)

ნებაყოფლობითი შეთანხმებები წარმოადგენს ხელშეკრულებებს მთავრობას / ადგილობრივ ხელისუფლებას (საჯარო) და სამრეწველო საწარმოებს ან ფილიალებს (კერძო) შორის, რაც ითვალისწინებს შეთანხმებულ მოქმედებებს და/ან სამიზნეებს. ნებაყოფლობითი შეთანხმებების გაფორმება ხელს უწყობს მთავრობასა და სამრეწველო სექტორს შორის ურთიერთდობისა და თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

გ) ნებაყოფლობითი შეთანხმებების ტიპიური ხანგრძლივობა

ნებაყოფლობითი შეთანხმებების ტიპიური ხანგრძლივობა ორიდან ათ წლამდე მერყეობს, ნებაყოფლობითი შეთანხმებების ტიპისა და სამუშაოს შეთანხმებული მასშტაბის მიხედვით.

დ) ნებაყოფლობითი შეთანხმებების ტიპები

ნებაყოფლობითი შეთანხმებების ორი ძირითადი ტიპი არსებობს:

- განხორციელებაზე დაფუძნებული: ამ ტიპის ნებაყოფლობითი შეთანხმებები მოითხოვს მონაწილე კომპანიების მიერ ენერჯის დაზოგვის ისეთი ღონისძიებების შესრულებას, რომლებიც დააკმაყოფილებს განსაზღვრულ და შეთანხმებულ კრიტერიუმებს; მაგალითად, ყველა ღონისძიება ანაზღაურებადი პერიოდით $\leq n$ წლის განმავლობაში.
- სამიზნეზე დაფუძნებული: ამ ტიპის ნებაყოფლობითი შეთანხმებები მოითხოვს მონაწილე კომპანიების მიერ გაზომვადი ენერგოეფექტურობის სამიზნეების მიღწევას; მაგალითად, $x\%$ ენერჯის დაზოგვა საბაზისო სცენართან შედარებით ან $y\%$ ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება n წლის განმავლობაში.

ევროკავშირში განხორციელებული ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების უმეტესი ნაწილი საჭიროებდა / ითვალისწინებდა ენერგეტიკის მართვის სისტემების დანერგვას, ეროვნული ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ე) ნებაყოფლობითი შეთანხმებების მონიტორინგი

მონიტორინგი წარმოადგენს ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემებისთვის გადაწყვეტ საკითხს; მნიშვნელოვანია პროგრესისა და შესაბამისობის მონიტორინგისთვის მკაფიო და სათანადო პროცედურების შემუშავება. განხორციელებაზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი შეთანხმებების მონიტორინგი ჩვეულებრივ უფრო ადვილია, ვიდრე მიზნებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი შეთანხმებების მონიტორინგი. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ნებაყოფლობითი შეთანხმების განხორციელებამდე საბაზისო დონის განსაზღვრა. მაგალითად, საბაზისო დონე შეიძლება იყოს საწყისი ენერგო აუდიტის შედეგი.

მონიტორინგი სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს მონაწილე კომპანიების მონაცემების კონფიდენციალობა. დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაცია, ჯეროვნად უფლებამოსილი მთავრობის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობით შეთანხმებებზე პასუხისმგებელ სამინისტროებს აგრეთვე შეუძლიათ მონიტორინგის სისრულეში მოყვანა, მათ, როგორც წესი, გააჩნიათ ძალზედ მცირე რესურსი ენერგოეფექტურობის პროგრამებთან, მოქმედებებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სამმპლემენტაციო სამუშაოების შესასრულებლად.

ვ) ნებაყოფლობითი შეთანხმებების სარგებელი და უპირატესობები

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კომპანიებისთვის საკმარისად მიმზიდველი სტიმულის შეთავაზება ნებაყოფლობით შეთანხმებებში მონაწილეობის მისაღებად და ენერგოეფექტურობის კუთხით მეტის გასაკეთებლად. ასევე შესაძლებელია „სტაფილოს და ჯობების“ მიდგომების კომბინაციის გამოყენება. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემებში მონაწილეობის ზოგადი სტიმულებია:

- ენერჯის გადასახადებთან დაკავშირებული სტიმულები
ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემაში მონაწილე კომპანიებისთვის სტიმული შეიძლება იყოს ენერჯიასთან დაკავშირებული გადასახადის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება ნებაყოფლობითი შეთანხმებების ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებული ღონისძიებები არ განხორციელდება ან დასახული მიზნები არ მიიღწევა, მაშინ გადასახადის ანაზღაურება იქნება შეუძლებელი.
- სხვა ფინანსურ სარგებელთან დაკავშირებული სტიმულები
მაგალითად, სუბსიდირებული ენერგო აუდიტები, ექსპერტის დახმარება ან სუბსიდიები ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

- სტიმული შეიძლება იყოს განსხვავებული დიდი საწარმოებისა და მცირე და საშუალო საწარმოების შემთხვევაში.
- სტიმული შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს არაფულად დახმარებას, მაგალითად, კომპანიები მიიღებენ უფრო მეტ აღიარებას მთავრობისგან.
- ინფორმირებულობა და ცოდნა
ცოდნის გაზიარების ღონისძიებები და ქსელები სულ უფრო გახშირდა ნებაყოფლობითი შეთანხმებების სექტორის ფარგლებში. მრეწველობის სხვადასხვა სექტორში (ფოლადი, ქიმია, აგრო-საკვები) ან ერთი და იმავე სექტორში მოქმედ საწარმოებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებამ დაადასტურა დადებითი გავლენა ენერგოეფექტურობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით.

3. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემა საქართველოს სამრეწველო სექტორთან

საერთაშორისო სემინარი და დისკუსია თემაზე „ნებაყოფლობითი შეთანხმებები სამრეწველო სექტორთან - ევროკავშირის გამოცდილება ენერგოეფექტურობაში“ გაიმართა თბილისში, მიმდინარე წლის 3 ივლისს, სადაც ნათლად გაესვა ხაზი საქართველოს მთავრობისა და სამრეწველო სექტორისთვის საგანგებო შეხვედრების ჩატარების, ნებაყოფლობითი შეთანხმებების სხვადასხვა ვარიანტების, მონაწილე კომპანიების შესაძლო სტიმულირების და შესაბამისი აუცილებელი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების / მიზნების განხორციელების აუცილებლობას. სემინარზე გამართულმა დისკუსიამ აჩვენა, რომ მსხვილ ინდუსტრიულ კომპანიებს დიდი სურვილი აქვთ, მთავრობასთან ერთად ჩაერთონ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან ელექტროენერჯის ეროვნულ ბაზარზე ბოლოდროინდელი მოვლენები და კონკურენტუნარიანობა საჭიროებს გაზრდილ ზეწოლას ენერჯის მოხმარებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯის მართვისა და შემცირების მიზნით.

4. ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემის მაგალითი: ავსტრიული პროექტი „klimaaktiv“

საინფორმაციო ბარათი - „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმებები

„klimaaktiv“ პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმება ხელმისაწვდომია ყველა იმ ავსტრიული კომპანიისთვის, რომლებმაც უკვე წარმატებით განახორციელეს ენერგოეფექტურობის პროექტები და აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს (მაგალითად, შეკუმშული ჰაერის სისტემების ოპტიმიზაცია). შეთანხმება ხელმისაწვდომია ყველა სექტორის კომპანიებისთვის და ის აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ სამრეწველო სექტორზე. პირველი ნაბიჯის სახით, კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ენერგოეფექტურობის ღონისძიება (ღონისძიებები), რომლებიც განახორციელეს ბოლო ორი წლის განმავლობაში, ონ-ლაინ რეჟიმში, ვებ-გვერდზე: www.energieeffizienzprojekt.at. აღნიშნულ ღონისძიებებს შეაფასებს ექსპერტთა ჟიური შემდეგი ასპექტების მიხედვით:

- შეესაბამება თუ არა ღონისძიება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს?

- არის თუ არა ენერგოეფექტურობის ოპტიმიზაციის მიმართ საყოველთაო მიდგომა ცნობადი და კარგად აღწერილი?
- არის თუ არა დანაზოგი კვტ/სთ-ში და ევროში დეკლარირებული, ასევე საინვესტიციო ხარჯები დასაბუთებული?
- რას სახისაა დანაზოგი კატეგორიის მოხმარებაში პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით?

ყოურის მიერ წარდგენილი ღონისძიებების დამტკიცების შემდეგ, კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ და წარუდგინონ ავსტრიის ენერგეტიკულ სააგენტოს სამოქმედო გეგმა, დაგეგმილ ენერგოეფექტურობის ღონისძიებას (ღონისძიებებს) და მათ დანაზოგთან (კვტ/სთ) ერთად მინიმუმ მომდევნო ორი წლის განმავლობაში. ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტო (AEA) გამოითვლის დაზოგილი ენერგიის ჯამურ რაოდენობას (კვტ/სთ და CO₂) და შეასრულებს მიზანშეწონილობის შემოწმებას. წარმოდგენილმა დაგეგმილი ღონისძიებამ (ღონისძიებებმა) უნდა უზრუნველყოს ენერგოეფექტურობის აშკარა გაუმჯობესება და CO₂-ის ემისიების შემცირება. სამოქმედო გეგმის ინტეგრირება მოხდება პროექტის პარტნიორის შეთანხმებაში. პროექტის პარტნიორის შეთანხმებით, პროექტის პარტნიორი ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები და წარუდგინოს ინფორმაცია მათი შესრულების შესახებ მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ AEA-ს. პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმებას გააფორმებს ავსტრიის მდგრადობისა და ტურიზმის მინისტრი კომპანიასთან დაჯილდოების ცერემონიალის ფარგლებში (ტარდება ყოველწლიურად). „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმებები ფორმდება ორი წლის ვადით და გრძელდება დამატებით ორი წლით, თუ შეთანხმებული ღონისძიებები შესრულდება და უკვე იგეგმება ენერგოეფექტურობის შემდგომი ღონისძიებები.

ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტო პასუხისმგებელია პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმებების საოპერაციო მართვაზე, ავსტრიის მდგრადობისა და ტურიზმის სამინისტროს სახელით, ის იმყოფება ექსპერტთა ჟიურის შემადგენლობაში წარმოდგენილი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შესაფასებლად, უწევს მონიტორინგს შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებას და მხარს უჭერს კომპანიებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შექმნით მათთვის განსაზღვრულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. დღეისათვის ავსტრიაში წარმოდგენილია 32 კომპანია, რომელთაც გააფორმეს „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმება. „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორის სამიზნე შეთანხმების მხარე კომპანიებისთვის ძირითადი სარგებელია:

- მათ უფლება აქვთ გამოიყენონ „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორის ლოგო, მაგალითად, გარე კომუნიკაციისა და მარკეტინგული საქმიანობისთვის - „klimaaktiv“ არის საყოველთაო ცნობადობის და მიმზიდველი ბრენდი, დადებითი იმიჯით.
- ისინი სარგებლობენ მთავრობის მხრიდან აღიარებით მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებისთვის, რათა გადალახონ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორთა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება „klimaaktiv“-ის ვებ-გვერდზე, რაც კიდევ უფრო ზრდის კომპანიების საჯარო ხილვადობას.
- „klimaaktiv“ აწყობს სამუშაო შეხვედრებს და ექსკურსიებს დაახლოებით წელიწადში ორჯერ პროექტის პარტნიორებისთვის, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები სარგებლობენ თანაბარუფლებიანი სწავლებით.

მთავრობისთვის მთავარი სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ, ერთის მხრივ, „klimaaktiv“ პროექტის პარტნიორები მოქმედებენ სხვა კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის ინსპირაციული მოდელების სახით, და, მეორეს მხრივ, კლიმატის დასაცავად გაწეული ძალისხმევა იქცევა საჭირო ყურადღებას, აღწევს ავსტრიის საზოგადოებაში და, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საყოველთაო ჩართულობას და ვალდებულებების შესრულებას.



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

